დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა
(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ქსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
თამარ ხეჩიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე.
წევრი:
მარიამ მატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი.

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☒ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238146270

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. სოფელი მუღანლო.
ფაქტობრივი მისამართი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. სოფელი მუღანლო.
საფოსტო ინდექსი	3806
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sagMughanlo@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 26 0000702820 11/06/2026
ვიზიტის თარიღი	2026 წლის 26 ივნისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის საფუძველი გახლდათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობის დამატების მოთხოვნა. ვიზიტის ფარგლებში უნდა შესწავლილიყო მე-3 სტანდარტი. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით, პოზიტიურ, აქტიურ და ეფექტურ გარემოში. სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, საქმისწარმოების განხორციელების პროცედურები და სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool), სხვადასხვა დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოხდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ კი სკოლის დირექცია-ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, კერძოდ კი 320 მოსწავლე პრობლემას ქმნის 2026-2027 სასწავლო წლისთვის პირველ კლასში მოსწავლეთა მიღებაზე, ვინაიდან მსურველთა რაოდენობა აღემატება სკოლის მოსწავლეთა დაშვებულ ზღვრულ რაოდენობას. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ვიზიტისას ყურადღება გამახვილდა სწორედ ამ მიმართულებით და შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა გაზარდოს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 400-მდე. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
320	**302**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე. ქართულ სექტორზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწყებით და საბაზო საფეხურზე. სკოლა აქტიურად მუშაობს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიმართულებით. სკოლაში დასაქმებულია ბილინგვური სწავლების სამი სპეციალისტი, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ სხვა საგნის პედაგოგებთან, ჩართულნი არიან სხვადასხვა სასკოლო პროექტებში. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნაადრევი ქორწინება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბავშვთა უფლებები, გენდერული თანასწორობა. სკოლა აქტიურად თანამშრომლოს მოსწავლეთა ოჯახებთან. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები დამატებით მუშაობას ეწევიან მოსწავლეებთან მათი შედეგების გასაუმჯობესებლად. სკოლაში არის მშვიდი, კეთილგანწყობილი და კოლეგიალური გარემო. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობს თემში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☐ შეესაბამება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის	სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების სისტემა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.3.1.4.	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის მანდატურის შეყვანა მრჩეველთა საბჭოში და გამოსცეს შესაბამისი ბრძანება.

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.5.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 30 ივნისამდე, უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველ ლაბორატორიის მოწყობა.
ინდიკატორი N3.5.1.3.	**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 30 ივნისამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და წიგნადი ფონდის აღრიცხვა.
ინდიკატორი N3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ მოსწავლეებისთვის.
ინდიკატორი N3.6.3.2.	**სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების**	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ბრძანებით.

	შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას	
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება სკოლის ვებ. გვერდზე.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლამ სასურველია იზრუნოს, რომ პედაგოგთ საჭიროებების გამოვლენის კვლევასა და კოლეგებისთვ უკუკავშირის მიცემას არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი სახე დ შეიმუშაოს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებებ გამოკვეთის ფორმები.
ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს გასაჩივრების პროცედურებ დეტალურად ამსახველი დოკუმენტი.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო	<u>მიმართოს შესაბამის უწყებას ვიდეოსათვალთავლო კამერების დამატებასთან დაკავშირებით.</u>

	სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ	სკოლამ უზრუნველყოს საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება <u>რათა შენობა მოყვანილი იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან.</u>

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი N3.6.3.3.	**საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**	სასურველია, სამომავლოდ სკოლამ შეუმუშავოს კითხვარი, რომელიც მიმართული იქნება საქმიანების კონკრეტულ საკითხთან, რათა ხარისხის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი აქტივობები იყოს ეფექტიანი და შედეგზე ორიენტიებული.

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-39 ბრძანებით. დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტში სკოლას აღწერილი აქვს თითოეული მათგანის ფუნქცია-მოვალეობებიც, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ანგარიშვალდებულების პირობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები ემთხვევა ზოგადი განათლების კანონში მოცემულ მოვალეობებს.

ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა და პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში განსახორციელებელი საქმიანობის ხარისხიან წარმართვას. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება–მოვალეობები და ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქციების დოკუმენტში, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის დირექციის განმარტებით თითოეული რგოლი პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ყოველივე ეს ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლასა და თანამშრომლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტი;
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-39 ბრძანება სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი'', რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 თებერვლის N1 სხდომის ოქმით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია უზრუნველჰყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანთან და კანონონთან, დაწესებულების მისასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. ასევე შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სკოლას გააჩნია პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება კოლეგიალობასა და თანამშრომლობას. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს სკოლის შინაგანაწესის და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლის თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარი, რომელსაც ავსებენ როგორც სკოლის დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ისე მასწავლებლები. სემესტრის ბოლოს ხდება შევსებული კითხვარების გაანალიზება და შედეგების შემდგომი მუშაოების დროს გამოყენება. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც პუნქტობრივადაა გაწერილი დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს სკოლის პერსონალს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში. მასწავლებლის სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში ხდება მისი შეცვლა, რათა სრულფასოვნად განხორციელდეს სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-39 ბრძანებით. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას. სკოლას ბოლო პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა ბილინგვური სწავლების სპეციალისტის ვაკანსია და მასწავლებლის შერჩევა განხორციელდა კანონმდებლობ შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას სკოლის საშტატო ნუსხის განსაზღვრული ჰყავს 38 საშტატო ერთეული, კერძოდ: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი და 31 მასწავლებელი, რომელთაგან სამი. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია და შესაბამისად დასაქმებულია 11 ადამიანი, კერძოდ: ბილინგვური სწავლების 5 სპეციალისტი, ერთი ექიმი,ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი და ერთი ცეცხლფარეში. ორი დამლაგებეი და ორი დარაჟი (დღი და ღამის). სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს ირიცხებოდა 24 მოსწავლე. შექმნილია კლას-კომპლექტები, კერძოდ: I-II კლას-კომპლექტი და III-IV კლას-კომპლექტი.

ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს, სკოლის სტრუქტურული ერთეულები: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას. მუშაობენ გუნდურად და იცავენ კოლეგიალობას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა შეხვედრები: კათედრის სხდომები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები. სკოლაში პედაგოგები მართავენ სხვადასხვა არაფორმალურ შეხვედრებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, აძლევენ უკუკავშირს. ამავე შეხვედრების ფარგლებში პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ განათლების შესახებ სიახლეებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო ლიტერატურას, მსჯელობენ მოსწავლეთა საჭიროებებზე, სასკოლო თემის საჭიროებებზე და სხვა.

ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. მასწავლებლები ატარებენ საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსებით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის (სამასაწავლებლო , ინფორმაციული-ტექნოლოგიების კაბინეტი) რაც ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კათედრის მუშაობის დებულება
- ✓ კათედრის 2026 წლის 27 აპრილის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებული აქვთ კათედრის მუშაობისა და პედაგოგიური საბჭოს დებულება
- ✓ საკონკურსო კომისიის 2025 წლის 28 აპრილის N2 სხდომის ოქმი ბილინგვური სწავლების მასწავლებლის აყვანასთან დაკავშირებით
- ✓ სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 მარტის N2-15 ბრძანება ბილინგვური სწავლების სპეციალისტის აყვანის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- ✓ სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-39 ბრძანება სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ დირექციის, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კმაყოფილების კითხვარი
- ✓ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ჟურნალი
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 თებერვლის N1 სხდომის ოქმი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ სკოლის სოციალური ქსელი;
- ✓ სკოლის საშტატო ნუსხა;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარება. მასწავლებელთა საჭიროებებთან დაკავშირებით სკოლის დირექციის, კერძოდ კი მოადგილის მიერ სისტემატურად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და პედაგოგებისთვის უკუკავშირის მიცემა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის მოადგილის გაკვეთილებზე დასწრების ჟურნალი,სადაც ასახულია როგორც გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე უკუკავშირი. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის მუშაობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია კათედრის 2026 წლის 27 აპრილის N2 ოქმით. აღნიშნულ დებულებაში მოცემულია კათედრის მიზნები და ამოცანები, სადაც ერთ-ერთი პუნქტი გახლავთ პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ხშირად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, თუმცა აღნიშნულის მტკიცებულება სკოლამ ვერ წარმოადგინა და

განმარტეს, რომ კოლეგებს უკუკავშირს აწვდიან ზეპირსიტყვიერად. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-38 ბრძანებით. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით აღნიშნული ჯგუფი აქტიურ საქმიანობას მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყებს.

ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ კი სკოლის დირექცია-ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე კათედრის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების მიმართულებით.

რჩევა: სკოლამ სასურველია იზრუნოს, რომ პედაგოგთა საჭიროებების გამოვლენის კვლევასა და კოლეგებისთვის უკუკავშირის მიცემას არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი სახე და შეიმუშაოს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების გამოკვეთის ფორმები.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში, რომლის დამადასტურებელი სერთიფიკატები განთავსებულია მათ პირად საქმეებში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებს და აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე. სკოლაში არის მამოტივირებელი გარემო კარიერული ზრდისთვის. თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწავლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის.

ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას აქვს კარგი გამოცდილება, სასკოლო კულტურის ნაწილად ქცეული ტრადიცია, რომელიც ხელს უწყობს ახალ თანამშრომელს ადვილად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან. ბოლო წლებში მიღებულ თანამშრომლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ისინი თავს სასკოლო გუნდის განუყოფელ ნაწილად, სრულფასოვან წევრებად თვლიან. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია.

ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ქმნის მასწავლებლებისთვის კომფორტულ და კოლეგიალურ გარემოს. მასწავლებლები ერთმანეთს მხარ უჭერენ პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში მოქმედებს წახალისების სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პედაგოგები ჯილდოვდებიან გარკვეული მადლობის სიგელებით.

ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ მასწავლებლების პირად საქმეები;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- ✓ კათედრის მუშაობის დებულება
- ✓ კათედრის 2026 წლის 27 აპრილის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებული აქვთ კათედრის მუშაობისა და პედაგოგიური საბჭოს დებულება
- ✓ გაკვეთილზე დაკვირვებისა და მასწავლებლის შეფასების ფორმა
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-38 ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ✓ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 თებერვლის N1 სხდომის ოქმი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, რომელიც სკოლას გაწერილი აქვს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში. სკოლის დირქტორმა საუბრისას აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება წინა წლების გამოცდილებას. სკოლის მართვაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების თითოეული სტრუქტურული ერთეული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს განაწილებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული სკოლას ასახული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტში. პრიორიტეტები და დასახული მიზნები სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია სკოლის მისიაზე, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების წევრებზე.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შინაანწესში, სამოქმედო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი და ძირითადი პროცესები, ამ პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის ფუნქციები. სკოლის მიერ SWOT ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოკვეთილია პრიორიტეტები და გაწერილია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და შესაბამისი აქტივობები. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლას დასახული მიზნების იღწევაში ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებული მუშაობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან აკავშირებული მართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებს სკოლა აღწერს სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესი, ტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ სკოლის

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული აქტივობები, თუმცა სკოლავ ვერ წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლა პროცესებს მართავს სკოლის შინაგანაწესით, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმასთან ერთად წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 10 სექტემბერს N2 სხდომით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. შესაბამისად ინდიკატორი მოვიდა სტანდარტთან შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია .

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს და მიღებული გადაწყვეტილებით მიმართავს დირექტორს, რაზეც დირექტორი გამოსცემს ინდ. აქტს, დისციპლინური სახდელის შესახებ. დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლაში წლების განმავლობაში არ ჰქონია ადგილი დისციპლინურ გადაცდომას და შესაბამისად დისციპლინურ კომიტეტს არ განუხილავს არცერთი ფაქტი.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს გასაჩივრების პროცედურების დეტალურად ამსახველი დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. მასში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლებები და მოვალეობები. სკოლის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N2-04 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. სკოლის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N2-28 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა სკოლას ჰყავს ორი მანდატური. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-20 ბრძანებით.სკოლას ასევე განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრონელი წარმოადგენს.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის მანდატურის შეყვანა მრჩეველთა საბჭოში და გამოსცეს შესაბამისი ბრძანება.

ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა
- ✓ დირექტორის 2025 წლის 04 მარტის N2-15 ბრძანება სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ✓ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 19 მარტის N2 ოქმი სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ

- ✓ სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 21 მარტის N2 სხდომის ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ
- ✓ შინაგანაწესი
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- ✓ სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-39 ბრძანება სკოლის სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N2-28 ბრძანება მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 თებერვლის N1 სხდომის ოქმი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-20 ბრძანება სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელთან: მშობლებთან, თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას. სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა კითხები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, ხოლო მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე წლის განმავლობაში ელექტრონულ ჟურნალის საშუალებით. სკოლა შესაბამის უკუკავშირს იღებს მშობლებისგან, მოსწავლეებისგან, ადმინისტრაციისა და დამრიგებლებისგან. უკუკავშირის მოწოდება ძირითადად ხორციელდება ვერბალურად.

ინდიკატორი 3.3.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო საზოგადოება პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს და საჭიროების შემთხვევაში დისციპლინური კომიტეტის სახით ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების სხდომებზე განიხილება სხვადასხვა საკითხები, რომლების დაკავშირებულის სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლა ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად გაცვლას.

ინდიკატორი 3.3.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კათედრის 2026 წლის 27 აპრილის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებული აქვთ კათედრის მუშაობისა და პედაგოგიური საბჭოს დებულება
- ✓ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 19 მარტის N2 ოქმი სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 21 მარტის N2 სხდომის ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- ✓ კათედრის 2026 წლის 27 აპრილის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებული აქვთ პედაგოგიური საბჭოს დებულება
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის 2025 წლის 17 ოქტომბრის N1 სხდომის ოქმი თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევის შესახებ
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 თებერვლის N1 სხდომის ოქმი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აკონტროლებს შენობაში შესვლა-გამოსვლას. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში უცხო პირთა ვიზიტის ამსახველი ღურნალი, რომელსაც აქტიურად აწარმოებს. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლას აქვს 8 ვიდეოსათვალთვალო კამერა, როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლას აქვს არასტანდარტული განლაგება (თავდაპირველად იყო საბავში ბაღის შენობა). სკოლის შიდა ტერიტორიაზე არსებული ვიდეოსათვალთავლო კამერები არ არის საკმარისი ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისათვის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შესვენებებზე მორიგეობენ მასწავლებლები წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 მაისის N2-45 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქვთ მოპოვებული დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან

შესაბამისობის შესახებ, თუმცა სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი. სკოლას აგრეთვე ჰყავს ორი მანდატური. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციევის მართვის დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღალნოს სკოლის შენობის მარცხენა და მარჯვენა შუა ნაკვეთურების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ორივე ნაკვეთური საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას რათა შენობა მოყვანილი იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან.

რჩევა: მიმართოს შესაბამის უწყებას ვიდეოსათვალთავლო კამერების დამატებასთან დაკავშირებით.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს საჭირო სარეაულიტაციო სამუშაოების ჩატარება რათა შენობა მოყვანილი იქნას შესაბამისობაში სეისმურ ნორმებთან.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

ინდიკატორი 3.4.1.1 სტანდარტთან შესაბამისობაში არ არის.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში არის ერთი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით, კერძოდ, კაბინეტში არის ხელსაბანი, სასწორი, საკეტიანი კარადა წამლებისათვის, კომპიუტერი, სამედიცინო ტახტი, შირმა, მაცივარი, საკაცე და სხვა. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც საჭიროების

შემთხვევაში უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას მოსწავლეებსა და სკოლის თანამშრომლებს, რომელსაც აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში. მას აქვს „ზოგადი პროფილის ექიმის“ დიპლომი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების გამოძახებაც.

ინდიკაროტი 3.4.1.2 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N2-04 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლას ჰყავს ორი მანდატური და აგრეთვე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის განსაზღვრული დირექტორის ბრძანებით. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-20 ბრძანებითაა დამტკიცებული. საშტატო ნუსხის თანახმად, სკოლას აგრეთვე ჰყავს ორი დარაჯი, რომელიც აწარმოებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების ჟურნალს.

ინდიკაროტი 3.4.1.3 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა ცდილობს უზრუნველყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად მუშაობს სასკოლო საზოგადოება. დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გამოირჩევიან მაღალი ურთიერთთანამშრომლობითი უნარით. დამრიგებლები კანონმდებლობის

შესაბამისად ატარებენ კლასის საათს, სადაც შესაბამისად განიხილება საჭიროების მიხედვით თემები, ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი უკუკავშირების განხორციელება. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებობს სანდოობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის ფაქტორები, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ გარემოზე. სკოლას ასევე ჰყავს ორი მანდატური. თუ კონკრეტულ შემთხვევებში სკოლას არ აღმოაჩნდება უნარი, მართოს არსებული ფსიქო-ემოციური სიტუაცია, მიმართავს შესაბამის ორგანოებს. სკოლაში მოსწავლეთა რეფერირება საჭიროება არ გამოკვეთილა.

ინდიკაროტი 3.4.1.4 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია ორი დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებებით, რათა მოხდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, კერძოდ: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). სკოლა ფლობს ჰიგიენური საშუალებების მარაგებს. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავესაც, სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია. საპირფარეშოები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი.

ინდიკაროტი 3.4.1.5 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელი პირი-საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. სკოლას აგრეთვე შემუშავებული აქვს დოკუმენტი პეროსნალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების: მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას. სკოლაში მონაცემები მუშავდება კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად.

ინდიკაროტი 3.4.1.6 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა იცავს მოსწავლის/მასწავლებლის/ მშობლის პერსონალურ მონაცემებს. სკოლის ის წარმომადგენლები, რომელთაც წვდომა აქვთ პირად მონაცემებთან იცავენ წესებს უსაფრთხოების მიზნით. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები არის სრულად დაცული. სკოლის მიერ არ ხდება პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება. სკოლა ახდენს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის ასახვას. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა თანხმობით. სკოლაში ინფორმაცია დაცულია ელექტრონულ ჟურნალში, რომლის წარმოებზე პასუხისმგებელია თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. ასევე მნიშვნელოვანი მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს.

ინდიკაროტი 3.4.1.7 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასებას, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებისა და აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შეფასების შედეგიბის გამოყენების მტკიცებულება.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების სისტემა.

ინდიკაროტი 3.4.1.8 სტანდარტთან შესაბამისობაში არ არის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი";
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 მაისის N570178 კორესპონდენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტის შეთანხმებასთან დაკავშირებით
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 30 მაისის N1591585 კორესპონდენცია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტის შეთანხმებასთან დაკავშირებით
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 მაისის N2-44 ბრძანება პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 06 მაისის N2-45 ბრძანება სახანძრო უსაფრთხოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ✓ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მისი შვილის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე (თექვსმეტ წლამდე და თექვსმეტი წლის ზემოთ)
- ✓ სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების სარეგისტრაციო ჟურნალი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-23 ბრძანება პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
- ✓ პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ✓ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-20 ბრძანება სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
- ✓ სკოლის საშტატო ნუსხა
- ✓ სკოლის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N2-04 ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას გააჩნია ერთი შენობა-ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო რესურსებით. შენობა არის ორსართულიანი, რომელიც მდებარეობს 10 257 კვ . მ. მიწის ფართზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის მთელი ტერიტორია აღჭურვილია რვა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერით. ოთხი აკონტროლებს სკოლის შიდა ტერიტორიას, ხოლო ოთხი კი გარე პერიმეტრს. სკოლა განთავსებულია ყოფილ საბავშვო ბაღის შენობაში, რის გამოც შენობა არასტანდარტულია. შენობა ორსართულიანია. მასში განლაგებულია 15 საკლასო ოთახი. სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, რომელიც რეალურად არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარითა და სასწავლო რესურსებით. შენობაში ასევე არის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრის კაბინეტი, რესურს-ოთახი, ექიმის კაბინეტი, დარაჯის ოთახი, მანდატურის ოთახი, 2 საპირფარეშო ბიჭებისთვის, 2 საპირფარეშო გოგონებისთვის, საკუჭნაო ოთახი დამლაგებლებისთვის. სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის გაკვეთილები ტარდება სკოლის ტერიტორიაზე სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ინვენტარით. სკოლას აქვს 2 პერსონალური კომპიუტერი, 22 ლეპტოპი, 4 პროექტორით, ერთი ქსეროქსის აპარატი. სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 302 მოსწავლე. სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებისას ყურადღება გამახვილდა სასკოლო

ინვენტარის რაოდენობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ითხოვს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას 400 მოსწავლემდე. სკოლის წარმომადგენლებმა აღინიშნეს, რომ სკოლამ მიიღო სხვადასხვა საფეხურის 263 ახალი მერხი და სკამი, რომლებიც განათავსეს საკლასო ოთახებში, თუმცა ვერც ვიზიტის დროს და ვერც ვიზიტის მერე სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი, თუმცა სკოლაში არსებული საკლასო ინვენტარის რაოდენობა სკოლას აძლევს საშუალებას სასწავლო პროცესში ჩართოს 400 მოსწავლე.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 30 ივნისამდე, უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

ინდიკატორი 3.5.1.1. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო. მოსწავლეები და მასწავლებლები სიტემატურად სარგებლობენ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკა მდებარეობს მეორე სართულზე. ბიბლიოთეკაში ძირითადად განთავსებულია სახელმძღვანელოები, ხოლო მხატვრული ლიტერატურა ძალიან მცირე რაოდენობითაა. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ბიბლიოთეკა მცირე ფართისაა და არ გააჩნია სამკითხველო. სკოლას საშტატო ნუსხით განსაზღვრული აქვს ბიბლიოთეკის შტატი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N2-30 ბრძანებით.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 30 ივნისამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და წიგნადი ფონდის აღრიცხვა.

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი მოსწავლე. ერთი გახლავთ აზერბაიჯანული სექტორის მესამე კლასში, ხოლო მეორე კი ქართული სექტორის მეშვიდე კლასში. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-24 ბრძანებით. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და რესურსებით. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში დასაქმებულ სპეციალურ მასწავლებელს შეუწყდა ხელშეკრულება გამომდინარე იქიდან, რომ მან 2026 წლამდე ვერ დაადასტურა კომპეტენცია. სკოლამ ,,სკოლების ვაკანსიების“ გვერდზე 2026 წლის 20 იანვარს გამოაქვეყნა სპეციალური მასწავლებლის ვაკანსია (https://teacherjobs.ge/96113), თუმცა ვაკანსია ვერ შეივსო. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დროებითი ხელშეკრულებით აიყვანოს სპეციალური მასწავლებელი, იმ პირობით, რომ ის უახლოეს პერიოდში ეცდება კომპეტენციის დადასტურებას.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა სკოლის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების დანერგვა. სოციო–კულტურული თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებითი ფსიქოლოგიური და ემოციური განწყობის შექმნას. სკოლა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში როგორც რაიონულ, ისე რეგიონულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას სასკოლო საზოგადოება ყოველდღიურად ზრუნავს სკოლის იერის შენარჩენებაზე.

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ შენობა-ნაგებობის სქემა;
- ✓ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი;

- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის N2-24 ბრძანება სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N2-30 ბრძანება სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ✓ ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები: კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია კომპიუტერები. სკოლას სულ აქვს 22 ლეპტოპი, 2 პრინტერი, 4 პროექტორი. გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები აქვთ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, ექიმს.

ინდიკატორი 3.6.1.1 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

კომპიუტერული ლაბორატორია მუდმივად დაკავებულია საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პერიოდში. მოსწავლეებს შეუძლიათ ლაბორატორიით სარგებლობა სასკოლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენება მათთვის კომფორტულ ნებისმიერ სივრცეში. მასწავლებლები სამუშაო სივრცედ იყენებდნენ თავისუფალ საკლასო ოთახებს. მასწავლებლებისთვის საზიარო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. მასწავლებლები სივრცით სარგებლობენ სამუშაოს მოცულობის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის დირექტორის ბრძანების თანახმად

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სკოლის მატერიალურ რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობის წესი“.

ინდიკატორი 3.6.1.2 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 07 მაისის N2-46 ბრძანება მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

საშტატო ნუსხის თანახმად, სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. სკოლის დირექტორის 2026 წლის 01 მაისის N2-41 ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის საქმისწარმოების წესი. სკოლაში საქმისწარმოება

მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (განცხადება, წერილი, საჩივარი, დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, ინსტრუქცია, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა;

ინდიკატორი 3.6.2.1 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვასა და საქმისწარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eFlow). მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები ასახულია eschool–ის ბაზაში. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი.
ინდიკატორი 3.6.2.2 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები.
ინდიკატორი 3.6.2.3 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები.
ინდიკატორი 3.6.2.4 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სოციალური ქსელის ლინკი
- ✓ საქმისმწარმოებელსა და საინფორმაციო მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 01 მაისის N2-41 ბრძანება სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ
- ✓ 10 დეკემბერს გაგზავნილი ინფორმაცია.
- ✓ საქმისწარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ eSchool-ის, eflow-სა და outlook-ის წარმოების ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სხვადასხვა საშუალებითა და არხებით, კერძოდ: ვებგვერდზე: https://skolebi.emis.ge/schools/ სკოლას აქვს საკუთარი გვერდი, ასევე სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი, სოციალურ ჯგუფში დახურული ჯგუფები მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის, განსაკუთრებით კი მშობლებისათვის. სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფა, ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი 3.6.3.1 სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას არ ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ბრძანებით.

ინდიკატორი 3.6.3.2 სტანდარტთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. . .საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. ვიზიტის ფარგლებში, სკოლამ წარმოადგინა კმაოფილების კითხვარი, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც, გეგმავს სამომავლოდ საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

რჩევა: სასურველია, სამომავლოდ სკოლამ შეუმუშავოს კითხვარი, რომელიც მიმართული იქნება საქმიანების კონკრეტულ საკითხთან, რათა ხარისხის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი აქტივობები იყოს ეფექტიანი და შედეგზე ორიენტიებული.

ინდიკატორი 3.6.3.3 სტანდარტთან შესაბამისობაშია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს თავისი გვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge, სადაც ძირითადი ინფორმაცია სკოლის შესახებ განთავსებულია როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 სტანდარტთან შესაბამისობაშია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე არ არის განთავსებული ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა. არ არის განთავსებული პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება სკოლის ვებ. გვერდზე.

ინდიკატორი 3.6.3.5 სტანდარტთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სოციალური გვერდი;

- ✓ სკოლის ვებ. გვერდი;
- ✓ ელექტრონული ჟურნალის, teams-ის პლატფორნის და სხვა ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 08 მაისის N2-48 ბრძანება საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სამეურვეო საბჭოს სკოლის დირექტორის წარდგინებით დამტკიცებული აქვს სკოლის ბიუჯეტი. სამეურვეო საბჭოსთან წარდგენამდე სკოლის დირექტორი შეიმუშავებს ბიუჯეტს სასკოლიო საზოგადოების მოსაზრებების და საჭიროების გათვალისწინებით სკოლის ბუღალტერთან ერთად. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. სკოლას დღეის მდგომარეობით აქვს ვაუჩერული დაფინანსება. ეკონომიური შემოსავლები არ გააჩნია. არ აქვს გაიჯარებული ფართი.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ყოველი წლის ნოემბრის თვეში კათედრებიდან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორიდან და სხვა პასუხისმგებელი პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დირექტორის დავალებით უფლებამოსილი პირი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რაზე დაყრდნობითაც დგება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესყიდვების გეგმის ცვლილება, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. სკოლის ბუღალტრის მიერ წარმოდგენილი იქნა მიმდინარე წლის ბიუჯეტი,

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნივთების შეძენის მიღება ჩაბარების დოკუმენტი
- ✓ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული სამსახურებრივი ბარათი და ინვოისები
- ✓ ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არქონის შესახებ
- ✓ 2025 წლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში
- ✓ 2025 წლის დეკემბრის თვის შემოსავალ-გასავლის დოკუმენტი
- ✓ 2026 წლის შესყიდვების გეგმა
- ✓ 2026 წლის შესყიდვების კორექტირებული გეგმა
- ✓ სკოლის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის N2-29 ბრძანება შესყიდვების გეგმის კორექტირების (2025 წლის 17 ნოემბრის N2-122 ბრძანებაში ცვლილების შეტანის) შესახებ
- ✓ შესყიდვების ხელშეკრულება
- ✓ სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის N2-122 ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ
- ✓ ხელშეკრულების საგნის (შესყიდვების ობიექტი) აღწერის დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თარიღი 2026 წლის 29 ივლისი

ავტორიზაციის ექსპერტთა კგუფის თავმჯომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: